რუბიკონი

კვირეული ორგანო

სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირი

№ 9

კვირა 8 აპრილი 1923 წ.

მისამართი: ტფილისი. ხელოვნების სასახლე სერგ. ქ. № 13 ტელ. 17—51

კანტორა—პუშკინის პასსაჟი ტელ. № 4—08

ფასი 20 ათასი მან.

საგარაკო სახლი.

ქართულ ყოველდღიურ გამოცემებში ირთად ამოიკითხავს დაინტერესებული კითხველი, რომ თითქმის ყველა პრო- ფესიონალური კავშირები ხსნიან თავის აგარაკო სახლებს და იმარაგებენ ებულში ავადმყოფ წევრებისთვის ნებს. ყველაზე უფრო ამ შემთხვევაში ვითონ პროფკავშირთა საბჭო მოქ- დებს, რომელმაც შექმნა მილიონე- ანი ფონდი და თითქმის ყველა კუ- ორტზე ხსნის საკუთარ სანატორიებს.

ვინც დაწვრილებით გაეცნობა ამ გმას, ის მიხვდება, როგორ დიდი შტაბით არის დაწყებული საქმე და ლდები მიღწეულია კიდეც. ჩვენ არ გვიძლია ასეთი ინიციატივა პროფ- შირთა საბჭოსი არ ავღნიშნოთ, ამას ნება დიდი მნიშვნელობა და ბევრს ადმყოფს და დაღლილ მუშას იხსნის ვდილისაგან. აგრეთვე აღსანიშნავია, მ კოლორში მთელი ქალაქი მოეწყო შვებისთვის. ამ ქალაქის ისტორია ულ წარმოადგენს სახალხო განათ- ბის კომისარიატის საუკეთესო დაწ- ბას, მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება ქცეს ქართველ ხელოვანთა და მწერ- ებსაც. არ უნდა ბევრი მტკიცება ს, რომ ისეთია მატერიალური პირო- ა ქართველ მწერლობისა და არტის- ბის, რომ ბუნებრივი თანდაყოლილი ა რომ არ ჰქონდეს ბევრს, მაინც ვის ცხოვრების პირობებით ჩავარ- ნდა ავადმყოფობაში. ქართველ მწე- ის პროფესია-არის პროფესია შიმ- ლის, ეს ასე იყო წინად და ასეა აც. მიუხედავათ ბევრი დეკლარაციე- ა და კონსტიტუციონურ გარანტიე- ა.

არ უნდა ჩამოთვლა იმ მაგალითებს, ა ქართველი მწერლები კვდებოდენ დურესს გაჭირვებაში და სარდაფებ- მაშინ, როცა რევოლუციონური ემიზმი არ იყო, როცა საზოგადოებ- საქმიანობას ნაკლები გასაქანი და, მაშინაც ქართულმა პრესამ მი- ა ყურადღება ამ საქმეს და დაიწ- კიდეც წალვერში შენება მწერლე- საგარაკო სახლის, რომელსაც მა- მეთაურობდა „ქართულ კულტურის ვარულთა საზოგადოება".

გორც ბევრს ეხსოვნება მაშინ საკმაო ლიც შეიკრიბა ამ საქმისათვის, ყო- მხრივ მოდიოდა შემოწირულება, მ არც ეს სახლი აშენებულა, და ე არავის არც ის გამოურკვევია, წავიდა ეს ხალხის ფული. რევო- ის შემდეგ, როცა აგარებული სახელმწიფო შენობები, რომელნიც წინად რუსის ჩინოვნიკებს ეკავათ, განთავისუფლდა, როცა კერძო მეპატრონეებსაც ჩამოერთვათ სახლები და სასახლეები, როცა ყველაზე უფრო ადვილი იყო ამ საგარაკო სახლის არა აშენება, არამედ აშენებულის მიცემა, მაშინ სწორედ მწერლები იყვენ დავიწყებული. არ შეიძლება, ითქვას რომ ამაში თვითონ მწერლები იყვენ დამნაშავე. წინათაც და ეხლაც ბევრჯერ შეწუხებულან მწერალთა კავშირების დელეგაციები მთავრობასთან თხოვნით, ყოველთვის იყო დაპირება, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდიოდა ყველა იღებდა თავისთვის ყველაფერს და მხოლოდ მწერლები და არტისტები რჩებოდენ გარიყული.

ეხლაც ახლოვდება სეზონი, ეხლაც ბევრი ავადმყოფი და დაღლილი ქართველი ხელოვანი სთხოვს კავშირს დახმარებას, მაგრამ იქნება რამე განა წელსაც?... ჩვენ გვგონია, რომ როცა ამდენი ლაპარაკია აღმშენებლობაზე და როცა ყველა ორგანიზაცია ასე თუ ისე აწყობს თავის საქმეს, დროა მწერლებისთვის გამოჩნდეს მზრუნველი ხელი.

საჭიროა ერთი, სახლი, რომელიმე აგარაკზე დაეთმოს სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს, თავის წევრებისთვის.

სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს იმ ხალხზე რომელიც ჰქმნის ერის კულტურას და სახელმწიფოსაც აძლევს აზრს.

ჩვენ მოვითხოვთ, ერთხელ კიდევ ხელოვანთა კომიტეტმა აღძრას ეს საკითხი, საზოგადოება დაარწმუნოს, იმაში, რომ კომიტეტი ფიქრობს თავის წევრებზე და ამით მაინც მოიხადოს თავისი ვალი.

ვარამ გაგეჟი.

P. S. ეს მეთაური აწყობილი იყო როცა რედაქციამ მიიღო ცნობა: სახალხო კომისართა საბჭოს და მიწათ-მოქმედების კომისარის გადაწყვეტილებით დიმიტრი ყიფიანის სახლი ქვიშხეთში ეზოთი გადაეცა ხელოვანთა მთავარ კომიტეტს. ამის შესახებ განკარგულება გაიგზავნა ადგილობრივად. მთავარი კომიტეტი შეადგენს სია იმ მწერლებისას, რომელნიც ამ ზაფხულში იქნებიან ქვიშხეთში გაგზავნილი.

ვ. გ.

ჯიოკონდას ღიმილი

ტეოფილ გოტიემ თავის „მინანქრებში და კამეებში" სუსხიანი ლექსი შესთავაზა მკვლელის ლაცენერის ხელს. მან გააზღაპრა ანდროგინი თავისი დაუვიწყარი სტრიქონებით და აქ პირველად იჩინა თავი ბოდლერის იდეალმა და მალარმეს იროდიადამ. ჟან ჟილკენის ლექსი იმავე თემაზე მხოლოდ გამეორებაა გოტიესი.

თვითონ აკაკი წერეთელმა ნახა იღბლიანი მომენტი რუსთაველის ცხოვრებაში, რომლესაც უკანასკნელი ჩვეულებრივზე უფრო ინტიმურია. რუსთაველმა თავის მარტოობაში, მის შემდეგ რაც მიართვა თამარს „ვეფხის ტყაოსანი", მიიღო მისგან „საიდუმლო ბარათი".

„და დაუკოცნა ხელი მან
„ოცნებით გამოშვერილი.

რამოდენიმე საუკუნის შემდეგ აკაკიმ მიაწოდა რუსთაველს თამარის ხელი, ეს ხელი უდრის მარია სტიუარტის იდეალურ ხელს, რომლისათვის აზნაურები და თავადები არ ერიდებოდენ იოანე ნათლისმცემელის საბედისწერო დასასრულს.

ელისავეტასი და შექსპირის ოქროს ხანა მოგვაგონებს თამარის და რუსთაველის ოქროს ხანას. რუსთაველისთვის შექსპირის სონეტების როლს ჩახრუხაძის ლექსები თუ გასწევს.

თამარი იყო რუსთაველისთვის ის, რაც იყო ჯიოკონდა ლეონარდო და ვინჩისათვის.

მოყვანილ მაგალითებში გოტიეს და რუსთაველს აწვალებს გამოცანა, როგორც ვინჩის აწვალებდა მონა-ლიზა-სიმბოლო გამოუცნობ და საიდუმლო ბუნების.

ბოდლერმა წარმოიდგინა მშვენიერება, როგორც „ოცნება ქვისაგან", როგორც ქალის თეთრი ქანდაკება, რომელიც არ სტირის და არ იცინის. ეს იყო პარნასელების იდეალი.

ქართული პოეზია მთელი საუკუნეების განმავლობაში აღიარებდა თავის მუზათ რუსთაველის თინათინს, „შვიდასი წლის დედოფალს" თამარს. თამარის სახით მარადი ქალურობის იდეია პირველად გამოეცხადა ქართულ პოეზიას.

ინოკენტი ანენსკის აზრით პუშკინს ყავდა წარმოგენილი ბუნება და სილამაზე, როგორც ნატალია გონჩაროვა, ცივი და მაინც მიმზიდველი.

მსოფლიო იღებს საყვარელ ქალის ფორმას.

მალარმეს აზრით პოეზიაში უნდა იყოს საიდუმლო, თვით პოეზია არის უხილავი იზიდა; ქვეყანა შეიძლება იქნეს გაგებული როგორც სიმბოლო მხოლოდ. ყოველ შემოქმედებას უნდა ადგეს თავზე ორეოლოვით და ორეულივით საიდუმლო.

სადაც არის ნამდვილი ხელოვნება, (მე აქ ვგულისხმობ რეალისტურ ხელოვნებასაც, მაგალითად „ხორცის მესაიდუმლე" ლევ ტოლსტოი) იქ არის მისტიური წყურვილი, რომელიც უდრის უკვდავების წინაგრძნობას.

ჩვენ პოეზიაში ვგრძნობთ ჯიოკონდას ღიმილს და ეს ღიმილი არის უკანასკნელი ბედნიერების დამარხვა. შეიძლება ეს ღიმილი გამოგონილია, მაგრამ ეს სულ-ერთია. ნუ დავემსგავსებით ანდერსენის სულელს, რომელმაც გაბედა იმის დაძახება, რომ მეფე ტიტველია.

ჯიოკონდას ღიმილი გვიანდერძა და ვინჩიმ, როგორც მუდმივი გამოცანა, როგორც თავისი ირონია და კურთხევა.

თანამედროვე პოეზია ამ ღიმილის ღერბის ქვეშ მიდის: ეს პოეზია აფასებს მიწის ნოყიერებას, მაგრამ ვერ დაივიწყებს რომანტიულ ცას.

აფროდიტას შემდეგ პოეზიის ქალბატონად იყო გამოცხადებული თვით მადონა. მაგრამ მადონას იდეალი იყო მეტად მაღალი და პოეტები უფრო ხშირად უმღერდენ „მშვენიერ დამას".

არსებობს ლეგენდა საშუალო საუკუნოებიდან: ბერი, რომელიც უფრო ადრე ჟონგლიორი და ჯამბაზი იყო, თავის ალტაცებას და ლოცვას ღვთისმშობლისადმი გამოსთქვამდა ხტუნვით, ცეკვით და სალტო-მორტალეებით. ღვთისმშობელი უთუოდ მიიღებდა ამ ლოცვას, რადგანაც აქ იყო ბავშური გულწრფელობა და თავისებური პატივისცემა ღმერთისადმი. ასეთი უშუალო პოეტები ახლა თითქმის არ არიან. ჯიოკონდას ავტორი იყო თავისი ეპოქის ჰკუა და წინამორბედი ბევრი მეცნიერული აღმოჩენების. მან პირველმა მოინდომა იკაროს ოცნების განხორციელება და თანამედროვე ავიაცია მხოლოდ ასრულებაა ლეონარდოს გენიალურ პროექტების. ბევრს გულუბრყვილო მკითხველს გონია, რომ პოეტი ყოველთვის მოცარტი უნდა იყოს და არასდროს სალიერი.

ორი სილუეტი: ედგარი და ბოდლერი: ისინი დაეუფლენ პოეზიას, პირველი თავისი „ყორანით" და მეორე მთვარით (ლაფორგის და უახლოესი პოეზიის მთვარე მოცემულია ბოდლერის „მთვარის საჩუქრებში").

ბოდლერის და ედგარის პოეზიაში არის ჯიოკონდას მაღალი შუბლი. ჯიოკონდას ღიმილი მუდამ ახლავს პოეზიას. ანტიურ ხელოვნებაში მედუზა თუ შეედარება მონა-ლიზას, მაგრამ მედუზა უფრო კონკრეტული და სადა გამოთქმაა საშინელების.

ქართული პოეზიის ჯიოკონდა თამარია. თამარის კულტი არის ქართულ ისტორიაში, ცხოვრებაში და ნაკლებათაა განვითარებული ქართულ პოეზიაში. ქართული პოეზია ვერ ბედავდა თამარის გამოცანასთან მიახლოვებას. მაგრამ თამარის შუბლი და ვიწრო თითები მაინც საგრძნობელია ჩვენს ლირიკაში.

არის პოეტი, რომელიც მეტ გამძაფრებით განიცდის ჯიოკონდას, მაგრამ ის იმდენად მორცხვია ამ სიყვარულში, რომ ერთი სტრიქონიც არ დაუწერია ჯიოკონდაზე. ეს არის კოლაუ ნადირაძე.

თანამედროვე ქართული პოეზია გაბზარულია ჯიოკონდას ღიმილით ეს ღიმილი ბუნდოვანია, როგორც ალექსანდრე ბლოკის სალამო და მისი სხივი არ არის ყველასათვის დასანახავი.

„ყანწელებისთვის", რომელნიც დიდხანს იყვნენ უცნაურის და იდუმალის კულტით შეპყრობილნი, ჯიოკონდა ძვირფასი მოგონებაა და უკანასკნელი იმედია.

ვალერიან გაფრინდაშვილი.



ოვანესს თუმანიანის გარდაცვალება.

ოვანეს თუმანიანის ქვრივს — ამაღლების ქ. № 18
პირი: არტუნს. — ტროცკის ქ. № 6.

ოვანეს თუმანიანის სიკვდილს, ჩვენ ვგრძნობთ, როგორც დაკარგვას უფროსი ძმისას რომელთანაც გვაერთებდა ტრაგიული კიბე შემოქმედების.

ავადმყოფ პოეტთან ერთად მასში მოკვდა მსოფლიო ადამიანი, რომელსაც უყვარდა თავის მშობლიური სომხეთის ხალხი და იმავ დროს იყო შევვარებული მის სულთან მონათესავე საქართველოზე.

დავტირით უერთგულესს მეგობარს ახალი ქართული პოეზიისას.

ამიერიდან ჩვენ გულებში მისი სახელი იქნება „იოანესს ნათელი".

რედაქციები. „რუბიკონი"ს, „ცისფერი ყანწების". „მეოცნებე ნიამორების" „ბირკაიდი"ს.

სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირის საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ რობაქიძე

II

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი, რომელიც აერთებს კულტურულ: ყველა მოღვაწეთ; ქართული მწერლობისა, თეატრისა მუსიკისა და მხატვრობისას გამოსთქვამს თავის უდიდეს მწუხარებას პოეტის ოვანეს თუმანიანის სიკვდილისთვის.

მთავარი კომიტეტი იგონებს, რომ ბევრჯერ პოეტის სიცოცხლეში გამოგვითქვამს მისთვის სიყვარული და აღტაცება იმ უანგარო ქართველი ხალხისადმი ძმობისთვის რომლის მოციქული იყო ოვანეს თუმანიანი.

სამშობლოს სიყვარული, და ნამდვილი პატრიოტიზმი, რომელიც არ უშლის სხვა ერის თავისუფლებას არის საფუძველი კაცობრიულ იდეალის.

ოვანეს თუმანიანი ამ შემთხვევაში იყო მაგალითი; ორივე მონათესავე ერისთვის. მისი მოგონება იყოს ნიშანი ჩვენ ერთა ძმური კავშირის მომავალში.

ოვანეს თუმანიანისთანა კეთილშობილი პოეტი და ადამიანი აძლევს ეროვნებას გამართლებას, ვსწუხვართ, რომ მას არ დასცალდა კიდევ ბევრი გაეკეთებია თავისი შემოქმედებით და პატიოსანი გულით.

მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე: **კოტე მაყაშვილი.**

ოვანე ნათლი

პოეტის სიკვდილი პოეტისათვის საკუთარი სიკვდილია. მით უმეტეს სიკვდილი ივანეს ტუმანიანის. მით უმწარეს ჩვენთვის. ოვანეს პოეტი, ოვანეს ადამიანი, ოვანეს მეგობარი: და ყველაფერში ნათელი უმთავრესად. ტყვილად არ ერქვა მას სახელი მეოთხე სახარების ავტორის. ასეთი ხასიათი საუკუნეში ერთხელ გაანათებს,—და ოვანეს პირველ ყოვლისა „ხასიათი" იყო. ჯერ თვითონ გარეგნობა: მაღალი, მცირეაზიული პროფილი, როგორც მედალიონი კეთილშობილი რასსის, მუდამ განათებული ღიმილით. ყოველთვის „თეთრი": ნამდვილად ბიოლოგიური გამართლება პოეტის. სული: მხილავი, დარბილებული რეზინიაციით, კეთილი, ყოველთვის აგზნებული უზენაესისათვის გული: ახლილი, გაშლილი, ალმოკიდებული, ჩვილი, ქალწულური. ბოლოს: ნამდვილი შვილი ჰაიასტანის. ოვანეს აცილებული ჰქონდა ის შინაგანი წყევა, რომელიც ხშირად ახასიათებს მის მრავალ თანამემამულეთ. ეს წყევა საქართველოსაც არ ნევია ძლიერ. აქ არ არის ადგილი რკალების გახსნისთვის. მაგრამ უთუოდ ასანიშნავია: ის, ვინც შინაგანი დაწყრეთ აიცდენს ამ „წყევას", უთუოდ დიდი ადამიანია. ასეთი იყო ოვანეს.

ოვანეს იყო სიყვარულის განსხეულება. მისი მისვლა საგანთან თუ მოვლენასთან ყოველთვის ტარდებოდა სიყვარულის პრიზმაში.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ უყვარდა მას თავისი მშობელი ხალხი ჰაიასტანის. მისთვის მამული პირველყოფილისა იყო „მიწა დედა" მისი მკერდებით და მისი ძუძუებით. „სჯული მიწის" იყო მისი სულისათვის ყოველთვის გადამწყვეტი.

მამულის ისტორია მამებისა და შვილების ბიოლოგიურ და მისტიურ მდინარებაში—ამის უმძაფრესი გზნება ჰქონდა ოვანესის სულს.

მთელს სომხურ პოეზიაში ჩემთვის ყველაზე უფრო ხმიერია ორიოდე სიმღერა ვანის ტბის ნაპირებზე გაგონილი.

აქ ისმის სუნთქვა ჰაიასტანის უკანასკნელი. აქ სუნთქავს თვითონ მიწა მისი, თავისებური და განუმეორებელი. ამ სიმღერებში ვხედავ მე უპირველესად ოვანესს,—და მისი აჩრდილი ყოველთვის მელანდება სევანის სერებზე ამართული ნათელით და სევდით.

მაგრამ ოვანეს დიდათ გრძნობდა საქართველოსაც. მე არ ვიცი მეორე უცხოელი, რომელსაც ასე ჰყვარებოდა საქართველო.

ქართველები და სომხები რომ ძმები არიან მცირე აზიაში—ეს ფორმულა გადაიქცა საერთაშორისო ტრიუიზმად. ოვანესისათვის ეს იყო თესლი და სისხლი. იგი ყოველთვის სცოცხლობდა სომხეთის პირველყოფილ მითოსებით, მაგრამ მეტად ძნელი იქნება ამის მტკიცება, რომ იგი ნაკლებ გრძნობდა ქართული ყოფის სიტყვასა, თუ ხატსა, თუ სახეს.

მე ქართველიც იშვიათად მინახავს საქართველოს საშოსი ასეთი მიმწვდომი და შემცნეველი.

ცხადია ყველასათვის, თუ, რა ტრაგედია იყო მისთვის ქართველ-სომეხთა უთანხმოება და ყოფილი ომი მათ შორის გამართული. ამას ნათელჰყოფს ტიციან ტაბიძის წერილი ოვანესის მიმართ და მისი შესანიშნავი ისტორიული პასუხი. შეიძლება გადაჭრით ითქვას: ქართველთა და სომეხთა შემთანხმებელი ამ სიტყვის სასტიკი გააზრებით იყო მხოლოდ ოვანეს: ტკბილი და რაინდი.

ჩვენთვის, პოეტებისათვის—იგი იყო სისხლი და ხორცი: ზოგისთვის მამა, ზოგისთვის უმცროსი ძმა. ძვირად იმართებოდა ხოლმე ისეთი საღამო, საცა ოვანესს არ გაენათებია იქ ყოფნა თავის პროფილით როცა ლოგინზე იყო მიკრული ავადი, მაშინ წერილს მგზავნიდა სიყვარულით სავსეს და სინათლით განათებულს (—გაიხსენეთ თუ გინდ იუბილე იაკობ ნიკოლაძის). მისი სახლი პატრიარქალური სიუხვით იყო ღია ჩვენთვის.

მას უყვარდა ცეცხლი როგორც ცეცხლთაყვანისმცემელს და მის ბუხარში ცეცხლი ყოველთვის ენთო. იგი ცეცხლთან მიგვიწვევდა ხოლმე, და განზე კი მაგიდა სავსე იყო ხმიადით და ხილით. თანვე: ღვინო, მხოლოდ წითელი, რომელიც მას უყვარდა. საუბარი: პოეზიაზე, საერთოდ ხელოვნებაზე. დრო მასთან გატარებული დაუვიწყარი დარჩება ჩვენთვის.

რამდენი მიხვედრა და რამდენი მიგნება: იშვიათი ინტუიციის პატრონი დროგამოშვებით ფართოდ შლიდა იგი სუფრას. ყველას ახსოვს მისი სადილი სტამბოლში წასვლის წინ. აქ იყო თითქმის ყველა: სომეხი თუ ქართველი, პოეტი თუ მწერალი, არტისტი თუ მხატვარი, პუბლიცისტი თუ ჟურნალისტი. ამ სადილს ალბად ჩემთან ერთად დღეს მრავალი იგონებს.

სიყვარული, სიყვარული: აქ იყო ოვანეს მთელად. საკვირველი არაა, თუ იგი მომავალს განსჭვრეტდა. როგორც ნამდვილი პოეტი, იგი იყო [illegible] მიმგზნები და წინასწარმეტყველი. [illegible] მისი წინათგრძნობა [illegible] შეხვედრის, გაიხსენეთ [illegible] დაბეჭდილი წერილი ამ [illegible] წლის წინად. ახლა გადამოწმებული იქნა, თუ როგორ გამართლდა მისი წინათგრძნობა. თანვე ნამდვილი ვიზიონერი. [illegible] კარგად იცის ერთი [illegible], როცა მან უეცრად თავის სახლში იგრძნო თუ რა დაემართა ერთს მის ნაცნობს სივრცით განშორებით მყოფს. ამ თვისებაში მე ვხედავ უკანასკნელ ავსილობას და უკანასკნელ დაწურვას. ასეთ წამებში ძნელი არ არის დროის „განზე დგომა" და მისი გადალახვა. საკვირველი არ არის, თუ ყოველი ახალ მოვლენის გასაგებათ, თუ შესატყობათ მას მიმართავდა ხოლმე.

აქედან აიხსნება ის მოვლენაც, რომ ოვანეს უყვარდა ყველას,—და კიდევ მეტი: ამ სიყვარულით ყოველს მის მნახველს უყვარდა სიცოცხლე.

მე სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თავისმკვლელი საშინელ განზრახვას განზე გადააგდებდა, თუ კი იგი ოვანესს შეხვდებოდა. ეს კი გამართლებაა თვითონ ყოფის.

ავადობის დროს მე ხშირად დავდიოდი ოვანესთან. მაშინაც კი, როცა ექიმებისაგან დაშლილი ჰქონდა მას მიღება ვინმესი. ოვანეს ავადმყოფობაშიაც ისეთი იყო როგორც კარგადმყოფობაში. პირველად იგი ჩემს მეგობრებს ეკითხავდა: ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, ვალერიან გაფრინდაშვილს, ნიკო მიწიშვილს, ლადო ჯავახიძეს. ხშირად ჰკითხულობდა ტიციანის ცოლს—ნინას და ბავშს—ტანიტს (—უბედურება, რომ ამ ბავშის მონათვლა არ დასცალდა). მეკითხებოდა ხშირად: კოტე მარჯანიშვილზე, ს. ახმეტელზე, ი. გრიშაშვილზე, სანდრო ეულზე, იაკობ ნიკოლაძეზე, გიგო ლიასამიძეზე და სხვებზე. გულდადებით: კეთილი ღიმილით და მზრუნველობით. ჩემი საუბარი მასთან ადვილათ ოდესმე დაიბეჭდება. ოვანეს არ იყო ევროპიულად განათლებული, მაგრამ მას ჰქონდა „მიწის" სიბრძნე: იგი ყველაფერს ხვდებოდა და ყველაფერს თავისებურად ხსნიდა.

ჩემთვის მისი ავადობა საშინელი იყო. როცა განმიცხადა სურვილი ლორეში დაბრუნებისა (მისი მხარე), მე და ჩემმა მეგობრებმა უკვე ვიგრძენით, რომ „მიწა" ეძახდა მას. მორჩენა მისი ძნელი გახდა. ერთხელ, სამსახურის დროს, დილისით, ორ საათზე, საშინელი სურვილი დამებადა მისთვის მეთქვა რამ: თითქმის გამოსათხოვარი, თითქმის უკანასკნელი. საჩქაროდ დავსწერე ბარათი და საჩქაროდ გავუგზავნე.

მეორე დღეს შემხვდა სომეხი პოეტი ყარა-დარვიში, და, როცა ეს ამბავი გადავეცი, მან მითხრა: გუშინ საღამოს ოვანეს მოსკოვში წაიყვანესო. ალბად ჩემი ბარათი წასვლის ჟამს თუ გადასცეს, ან თუ ვერ მიიღო. ჩემთვის საშინელი იქნება, თუ მიუღებელი დარჩა იგი.

სიცოცხლე შეხვედრაა, სიკვდილი—დაცილება. ჩემთვის ოვანეს იყო „შეხვედრა" უკანასკნელი სიმძაფრით.

„ოვანეს ნათელი"—ამ სახელით დარჩება იგი ჩემში მარადის.

გრიგოლ რობაქიძე.

ტფილისი
მარტის 27.
1923

ოვანეს თუმანიანი

ოვანესს თუმანიანი დღევანდელ სინამდვილეში იყო დაუჯერებელი პიროვნება. ვინც პირადად არ იცნობდა ოვანესს, მას ჰიპერბოლად მოეჩვენება მასზე ყოველი ნათქვამი, იყო მის პიროვნებაში რაღაც არა ადამიანური განათება, რომელიც სამუდამო მეგობრად ხდიდა ვისაც ის დაელაპარაკებოდა.

ეს იყო ზაფხული 1917 წელი. ტფილისში ახალი ჩამოსული ვიყავი მოსკოვიდან, ჩემთან ერთად ჩამოვიდა კ. ბალმონტი.

ეს იყო დრო სიხარულის: რევოლუციის და პირველი დაპირების ასრულების.

ქართულ კლუბის ბაღში სანდრო ყანჩელთან და გიგო ლიასამიძესთან ვახშამზე, რომელიც გაუმართეს ბალმონტს. მე პირველად ვნახე ოვანესს თუმანიანი.

მას სრულიად დაიმონებულად ეჭირა თავი, ასე რომ რუსულადაც ამბობდა ექსპრომტებს ბალმონტთან ერთად: საგანი ექსპრომტების იყო ფაცა ამირეჯიბი, „ცისფერი მანტორა"...

ერთი თვის შემდეგ „რუსკოე სლოვო"-ში დაიბეჭდა ბალმონტის ლექსი: „Тебе Ованесс Туманян"

მე ჯერ კიდევ ბავშობიდან ვიცოდი, რომ კავკასია იყო მეორე ახალი მაკედონია: რომ ხანჯალი და ომი ქართველ და სომეხთა შორის თითქმის აუცილებელი იყო. ამას არ სჭიროდა ბევრი პროვოკაცია—ეს თითქმის ბუნებრივად მოხდებოდა, როგორც მზის ამოსვლა.

პირველი ადამიანი, რომელსაც ყველაზე უფრო აწუხებდა ფიქრი ამაზე, ეს იყო ოვანესს თუმანიანი. მის ყოველ გამოსვლაში და ყოველ საქმეში იყო ამ [illegible] სურვილი. მისი [illegible] საქართველოში და ამის მოწმე იყო ტფილისი მის 25 წლის იუბილეს დროს.

დიდი პატრიოტიზმი არ უშლიდა ოვანესს, სწორედ ქართველების ორიენტაციას.

საქვეყნოთ ცნობილია, რომ ოსმალეთთან ომის დროს, სადაც დაიღუპა მისი უფროსი ვაჟი, ოვანესს თუმანიანმა შვიდი ქალიშვილი გააგზავნა ფრონტზე მოწყალების დებათ, და როცა ქართველ სომეხთა ომი დაიწყო და ზოგი მის შვილებისაგან მოხვდნენ ერევანში, ოვანესს თუმანიანმა უბრძანა შვილებს—და ეს წერილი მათ გადასცა მთავრობის წევრებმა—არ მიეღოთ მონაწილეობა ომში, თორემ ის იმათ დასწყევლიდა—ეს დიდი სიყვარულის აქტი იყო და სტიმული, როცა მე სომეხ-ქართველთა ომის ცეცხლის დროს გაზ. „საქართველოში" მივსწერე ღია ბარათი ოვანესს, რომელსაც მან უპასუხა გრძელი და გულწრფელი პასუხით... ამ წერილებმა მაშინ მოიარეს კავკასიის პრესსა ყველა ენაზე...

და აქვე უნდა ითქვას, რომ ოვანესს თუმანიანს ნამდვილი ძველი პატრიარხის გავლენა ჰქონდა სომხის ერზე. მას უსმენდნენ არა მარტო ხალხი, არამედ ხალხის მეთაურნიც, რომელნიც თითქმის ყოველთვის დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ უცოდველობაში.

ოვანესს თუმანიანის ასეთი გავლენა თავის ხალხზე მე მაგონებდა ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტს, რომელიც მხოლოდ გადმოცემით სჯერა ჩვენს თაობას.

იშვიათი იყო აგრეთვე განწყობილება ოვანესის ჩვენს პოეტებთან, არ ყოფილა არც ერთი ჩვენი გამოსვლა, რომ ოვანესსი არ ყოფილიყო ჩვენთან, და არ [illegible] საკუთარი სიტყვა.

მე მახსოვს ჩემ საღამოზე 8 აპრილს 1919 წელს, მან წაიკითხა პოემა, რომელიც მთლიანად მიძღვნილი იყო საქართველოზე და ქართველ პოეტებზე. იქნებოდა იუბილე ქართველ მწერლის, ოვანესს პირველ მოისწრებდა მოსვლას, და უთუოდ მოიტანდა პერგამენტს დაწერილს.

1920 წელს, როდესაც საქართველოს მწერალთა კავშირმა გადასწყვიტა 7 მაისს გაემართა ტრადიციული დღე პოეზიის.

ამ დღეს, განზრახული იყო მისცემოდა დიდი ეროვნული ზეიმის ხასიათი. მე მახსოვს ყოველ დღე დადიოდა მაშინ ოვანესს ჩვენთან, კითხულობდა ყოველ წვრილმანს და ბოლოს გამოჩნდა, რომ მას უფრო მეტი გაეკეთებია ამ საქმისთვის, ვინმე ყველა ქართველ მწერლებს ერთად.

[illegible] ამ დღეს [illegible]

მაშინდელ „პოეზიის დღეზე" დაბეჭდილია ოვანესის წერილი საქართველოზე, რომელიც აგრეთვე ჩაითვლება სიყვარულის და პატივის ცეცხლის დიდ დოკუმენტად.

უფრო ადრე კიდევ, ოვანესს თუმანიანმა გაზეთ „სლოვო"-ში დაბეჭდა წერილი კავკასიაზე, სადაც საქართველოს გახადა „კავკასიის საფრანგეთი" ერს კეთილშობილ რევოლუციონერობისას და პოეტებისას, ეს წერილი [illegible] მხრივ არის ისტორიული.

თუ ასეთი იყო ოვანესს უფრო ოფიციალურ გამოსვლებში, მასთან ოჯახში ინტიმობას არ ჰქონდა საზღვარი. მისი დიდი ბინა, დიდი ბუხარი და აღმოსავლეთური ხურჯინები მოუშორებელი თავისთავად ჰქმნიდა პოეზიის ინტიმს და იყო დაუვიწყარი [illegible] პოეზიის.

გრიგოლ რობაქიძე „ბარრიკადის" პირველ ნომრისათვის ამზადებდა წერილს ოვანესს თუმანიანზე და [illegible].

წერილში [illegible] იყო, როგორც [illegible] და სიყვარულის და კეთილშობილების [illegible] [illegible].

[illegible] ოვანესის [illegible] მწერლობა, უნდა ითქვას, რომ ყოველთვის [illegible], რომ აქ [illegible], ეს [illegible], რომ [illegible] ხსნიდა, რომ ოვანესს [illegible] ახალი [illegible] მწერლებს [illegible], თითქმის ოვანესის [illegible].

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ოვანესს თუმანიანის იუბილეს დღე „[illegible]" დარბაზში: ხალხით გაჭედილი თეატრი. სიტყვა [illegible], სიტყვა ნათქვამი იყო ისეთი პათოსით, რომ თეატრი [illegible]

ლონდა.

გავჩნდი და მე ვარ მეობით!
(ვაჟა-ფშაველა. ეთერი.)

ლონდას გამო ბევრი ალაპარაკდა, ლონდაზე ბევრი რამ დაიწერა; ლონდამ საკმაო მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ლონდა დასდგა პირველ-ხარისხოვანმა რეჟისორმა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ის მაინც გაუგებარი დარჩა.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

უმრავლესობა მშვენიერების საკითხში—და ბევრ სხვა საკითხშიაც დიდი კონსერვატორია: მას უყვარს მისთვის ჩვეული, ჩვეულებრივი, საკმაოდ გათელილი გზით სიარული, რადგანაც ასეთი გზა გაცილებით უფრო იოლია, ადვილი.

გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთ თვისებას კი შეადგენს, რომ მას იზიდავს მხოლოდ ახალი, უჩვეულო, ქალწული გზა, რომელსაც ჯერ სხვისი ფეხი არ დაჰკარებია. საკუთარი გზით დადის.

ასეთი გზით სიარული ბევრნაირად არის სახიფათო.

თუ მოსიარულეს საკმაო ძალა არ შესწევს, გადაიჩეხება და სასაცილო, ყოველ შემთხვევაში შესაბრალისი შეიქნება. თუ საკმაო ძალა აღმოაჩნდა და მტკიცედ იარა, უმრავლესობისათვის დიდხანს იქნება გაუგებარი.

გრიგოლ რობაქიძეს უსათუოდ შესწევს ძალა ამაყად სთქვას:

„გავჩნდი და მე ვარ მეობით"-ო, და საკუთარის გზით იაროს ხელოვნების სამეფოში. სამაგიეროდ—ვიმეორებ—ის ბევრისათვის გაუგებარია

თანამედროვე ცხოვრება მეტად აჩქარებული ტემპით მიისწრაფვის წინ. ოცდა ოთხი საათი დღე და ღამეში ეხლანდელი ადამიანისათვის ერთობ პატარა დროა,—მას არა ჰყოფნის ეს დრო.

უწინდელმა ადამიანმა კი არ იცოდა, დრო როგორ გაელია და რაში დაეხარჯა.

ჩვენში უმრავლესობა ჯერ კიდევ ურმით მოგზაურობს. ამერიკაში კი ასეთი რამ არც ერთ გადარეულს აზრად არ მოუვა.

ამიტომაც ხუთმოქმედებიანი დრამები და ტრაგედიები ძველი დროის პირმშო შვილია, როდესაც ადამიანი ზანტად იზმორებოდა და გაიძახოდა:

ღმერთო, რა დაალამებს ამ სიგრძე დღესაო.

მაშინ საზოგადოებას შეეძლო ხუთ-ექვსი საათი და მეტიც მჯდარიყო თეატრში და ხუთ მოქმედებიანი ტრაგედიისათვის თვალ-ყური ედევნებია.

თანამედროვე ადამიანისათვის ეს ყოვლად შეუძლებელია. მას ამდენი, თავისუფალი დრო არა აქვს.

ამიტომ თეატრმა ერთი ან ორი საათის განმავლობაში უნდა მისცეს მას იმდენი, რამდენსაც უწინდელი თეატრი აძლევდა ხუთი ექვსი საათის განმავლობაში.

თუ თეატრს დღეს დიდ მეტოქეობას უწევს კინემატოგრაფი, ერთი მიზეზთაგანი სწორედ აქ არის.

ლონდას ერთი ღირსება, ღირსება ტეხნიკური, სწორედ ამაში მდგომარეობს: ის თანამედროვე ევროპის ცხოვრების ტემპს სრულიად შეეფერება,

მაგრამ, ჩვენი ქართული ცხოვრება [illegible] ლი გზაც ძველი პიესებით არის მოფენილი და ამიტომაც საზოგადოება ჯერ ისევ ძველი თეატრის ტრადიციებით სცხოვრობს.

რა თქმა უნდა, ძველში ბევრი რამ არის კარგი და შესანარჩუნებელი, მაგრამ თუ შიგ ტალღა არ შეერია ხელოვნება მოკვდება.

ლონდა სწორედ ახალი ტალღაა ჩვენს სასცენო ხელოვნებაში და სიტყვა-კაზმულ მწერლობაშიც.

ლონდაში მოქმედება მიმდინარეობს წარმართობის დროს.

ჩვენ კი იმდენად დავშორდით ამ ხანას, რომ მისი სულის კვეთება უმრავლესობისათვის გაუგებარია.

ლონდაში სულდგმული მიწის შვილია, ისინი მტკიცედ იცავენ მიწის სჯულს და მზეს მოწიწებით ეთაყვანებიან.

ჩვენ კი მიწასაც, მზესაც სრულიად დავშორდით.

თანამედროვე ადამიანი დღეს ისე დაალამებს, რომ ერთხელაც არ შეჰხედავს მზეს. ზოგი ისე ჩადის საფლავში, რომ იდუმალი შრიალით, კლდის ნაკადულის მხიარული რაკრაკით და მინდვრის ბალახის ნელი ბიბინით ერთხელაც არ გამძღარა.

აი ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, ცხადი იქნება, რატომ ვერ გაიგო დიდმა ნაწილმა ლონდა.

იყო სხვა მიზეზებიც.

კ. მარჯანიშვილი—რა თქმა უნდა—დიდი ზომის, დიდი ალმაფრენის, მძლავრი გაქანების ხელოვანია.

მაგრამ არის სიძნელე და დაბრკოლება, რომელთა გადალახვა, ერთის შეტევით დაძლევა დიდ ნიჭსაც არ შეუძლიან.

რამდენადაც მარტივია ლონდა, იმდენად რთულია ის სულიერი განცდის [illegible] ამის გამო მისი გამოსახვა სცენაზე მეტად ძნელია.

ამას უნდა დიდი დრო, დიდი მუშაობა.

მსახიობები ძალიან კარგათ იყვნენ მომზადებულნი. ასეთი მწყობრიანობა, ასეთი რიტმი მე პირველად მინახავს ჩვენს სცენაზე.

მაგრამ სცენაზე არ იყო მასსა—ხალხი. უამისოდ კი ლონდა ვერ გამოიწვევს შესაფერ განცდას; რადგანაც ლონდა ხომ ხალხია, კოლლექტივი; აქ იშლება კოლლექტიური ტანჯვა, კოლლექტიური სულის კვეთება, კოლლექტიური ნების ურღვევლობა.

არ იყო ორკესტრი, ურომლისოდაც ლონდის დადგმა შეუძლებელია.

ლონდა უნდა ნახოთ რამდენჯერმე, უმალ კი უნდა წაიკითხოთ რამდენჯერმე. მხოლოდ მაშინ შეიძლება მისი სილამაზის დანახვა.

რა არის ლონდა? მისტერია სიყვარულით გაბზარული. ამ ორი ხაზით მიმდინარეობს იგი და ერთი მეორეს აძლიერებს.

შინაარსი მისი მეტად უბრალოა, მარტივი, თითქოს სალაპარაკო არც კია აქ არაფერი: წარმართი ხალხი გოლვამ შეაშინა და ადამიანს სწირავს მსხვერპლად, რათა ღმერთმა შეიწყალოს.

მაგრამ ამ პრიმიტივზე ავტორმა გადაშალა ერისა და პიროვნების ნამდვილი ტრაგედია.

უბრალო საშუალებით დიდი მიღწევა დიდი მხატვრობაა.

გაიხსენეთ ფიროსმანიშვილი,—უბრალო სალებავები და შავი [illegible] (კლიონკა)!

ლონდა ატარებს გავლენას ელლინური ტრაგედიისას. აქ აღდგენილია ელლინური პრინციპები სასცენო ხელოვნებისა,—ეს არის ადგილის, დროის და მოქმედების [illegible]

ლაპარაკი, ხორო და [illegible], შემდეგ ლონდა,—ეს მხოლოდ შესავალია. ნამდვილი მოქმედება იწყება ბატონიშვილი თამაზის მოსვლიდან.

მოქმედება თანდათან ძლიერდება, როდესაც მთავარი დაიჭერს თავის ალაგს და მიმართავს ხალხს. დინამიკა მატულობს, როდესაც თამაზი შემოიჭრება და ძლიერ ტრაგედიით გადაიშლება, როდესაც გამოჩნდება ქურუმი და აუწყებს ხალხს უზენაესის ნებას. ერთის მხრით თავზარდაცემული ხალხი, მეორეს მხრით მთავარი, რომელმაც არ იცის არავითარი ყოყმანი, გადრეკა და ღალატობა მიწის სჯულის დაცვაში. ერთის მხრით ქურუმი, რომელიც დაჟინებით მოითხოვს უზენაესის ნების ასრულებას და მეორეს მხრით თამაზი, რომლის არსებაშიც სიყვარული და სხვა და სხვა გვარი მოვალეობა ერთმანეთს სასტიკი იერიშით ეჯახება.

ამ საშინელ ტრაგედიის კიდევ უფრო აძლიერებს ქადაგი, რომლის როლი მოკლეა, მაგრამ მეტად ძნელი. დიდი შრომა, დიდი ნიჭი და გამოცდილებაა საჭირო, რომ მსახიობმა აქ არ გადაიჭარბოს და სამხატვრო ზომიერება დაიცვას. ამ როლის შესრულება რიგიანად არ შეიძლება,—ის უნდა იყოს შესრულებული უნაკლულოდ. ყოველი მისი სიტყვა საშინელების ზარივით უნდა გაისმოდეს და ჟრუანტელსა ჰგვრიდეს მაყურებელს. მსახიობი ვერ მოერია თავის როლს და ალაგ-ალაგ კომიკური ელემენტებიც შეჰქონდა.

მოქმედება სწარმოებს წარმართობის ხანაში. ეს ნიშნავს იმას, რომ წარმართული სული უნდა ტრიალებდეს შიგ უწინარეს ყოვლისა.

და მართლაც [illegible] არ არის შიგ. [illegible] ული ადამიანი შეეფერება სწორედ წარმართობის ხანას. ლაპარაკი [illegible], რომელიც ადამიანის შეწირვას ითხოვს და მრავალი სხვა საუცხოო სახე წარმართობის, მაგრამ ამ მხრივ შედევრია:

მზეო: მზეო მზეო
ცხოველ მყოფელო
ძლიერო სისხლიანო მაგარო
უცნაურო საშინელო
შენელდი დასცხრი
და მიეც შვება
[illegible] სინედლე მიწას.

1 ჯგუფი შენელდი დასცხრი მზეო ცხოველ მყოფელო.

ამ უბრალო, ყველასათვის გასაგებ სიტყვებში მთელი სულია წარმართული დროის ადამიანისა. რითი აღწევს ამას ავტორი? მხოლოდ იმით, რომ ყოველი სიტყვა თავის ალაგას არის და განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს. სცადეთ და გადაასხით სიტყვები,-მთელი ლოცვა დაიშლება უშინაარსო გახდება.

საერთოდ ლონდას [illegible] დიდი შრომისა და დაკვირვების. ენის მხრივ ის შესანიშნავია; ყოველი სიტყვა მოფიქრებულია, დახვეწილი, დაწმენდილი და თავის ალაგას მიჯრილი.

სიტყვა გარეული ცხენია, რომლის გახედნაც მეტად ძნელი საქმეა, აუცილებელი კი არის ყოველი პოეტისა და მწერლისათვის. ვინც მას ვერ დაიმორჩილებს და ხელში ვერ დაიჭერს, გადაიჩეხება უსათუოდ და ორივე დასახიჩრდება.

რა არის დედა აზრი ლონდასი? დეტალურად განხილვა ამ დიდი საკითხისა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ყოველი მომქმედი პირი თავის თავად დამთავრებული აზრია. თუ გნებავთ, ლონდაში არის მხოლოდ ერთად ერთი მომქმედი პირი-ხალხი. აქ არის [illegible] გამოსახული კოლლექტიური [illegible]

ებით.

ოპერისთეატრის ლოჟაში მეორე სტუ ო მიმმართა პაოლო იაშვილმა მაშინ ლმა სომხეთის რესპუბლიკის მინისტ ა ხაზინის თავმჯდომარეს ოვანეს თუ მანიანს.

ამ სიტყვაში პოეტური გამოთქმე ა თავის აღტაცებას და მადლობას, მ ოვანეს თუმანიანსა და ქართველ ეტებში ახალი მეგობრობა არსებ ბს.

მანიფესტი ამ იუბილეს შემდეგ იყო [illegible] ალტაცების, სიყვარულის და ზიის. ამის შესახებ სერგეი გორო ცკიმ დასწერა ფელეტონი გაზ. „სლო ში“.

ოვანესს სურდა, რომ მეზობელ ერ შორის ყოფილიყო ურყეველი სუ იერი კავშირი, მის სახლში ხშირად ხვდებოდით მუსულმან პოეტებსაც, ნსაკუთრებით უყვარდათ ამ უკანასკ ლთაც ოვანესი.

ბევრი ყოფილა დაწყება, რომელსაც მდეგ არ მისცემია დაბოლოვება, მა ამ აქ მიზეზი იყო, ის, რომ ჩვენი სამ ობლო ხშირად ყოფილა არენა პოლი იკური გადატეხათა... რაც ხშირად იწ ვდა გაკეთებულის დაშლას და ახალ რგანიზაციების შექმნას.

ნამდვილი საიდუმლო სერობა იყო, ოცა საქართველოს სახალხო განათლე ის კომისარმა ქართველ მწერალთა ათმოვნით ოვანესს თუმანიანს დაუნი ში მენსაც, რასაც ოვანესისათვის ხოლოდ მორალური მნიშვნელობა ჰქონ და.

ამის გამო ოვანესმა თავის ბინაზე გამართა ნადიმი, რომელსაც დაესწრო მთელი ქართული და სომხური მწერლობა.

სამუდამოდ სამახსოვროა დარჩება ეს ღამე და განსაკუთრებით სიტყვები: ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის, გრიგოლ რობაქიძის, კოტე მაყაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, პაოლო იაშვილის და მამიკონ გევორქოვის. მართლაც ეს იყო საიდუმლო სერობა და ოვანესისათვის უკანასკნელი საჯარო თქმა, რაც მოასწრო იმ ღამეს ეთქვა.

მე ვერ წარმომიდგენია უკანასკნელი წუთები ოვანესის სიცოცხლისა, მხოლოდ მწამს, რომ ის ყოველთვის მაღალი შუბლით და განათებული სახით, რომელმაც მთელი სიცოცხლე გაატარა სიყვარულის ქადაგებაში, უკანასკნელადაც როგორც ცრემლიანი და ღვთიური მეტყველი დაასრულებდა მომღიმარი, მაგრამ სამუდამოდ დაჯერების სიტყვებით, ისე როგორც ღვთისმეტყველი იოანე, რომელნიც უკანასკნელად გამოიყვანეს მოწაფეებმა ბოლოს წინ სიტყვის სათქმელად და მან ცრემლებით მხოლოდ სთქვა ისე:

— გიყვარდეთ ერთმანეთი...

მე არაფერს ვამბობ ოვანესზე, როგორც პოეტზე, არც იმ შეხვედრებზე, რომელიც მე მქონია იმასთან — ეს ყველა საგანი შემდეგი მოგონებებისა — როცა ხაცილილი უფრო მაგრძნობინებს, რომ ოვანესი არ არის და, როცა მოუსვენლები მის გვამს...

ტიციან ტაბიძე.

ოვანესს თუმანიანს

ჩემო დიდებულო მეგობარო!

უკანასკნელად ჩვენ ერთმანეთი ვნახეთ მაშინ, როდესაც შენ უქეიფოთ, მაგრამ სულით ლამაზი და მაგარი იყავ. ჩვენ ვისაუბრეთ სამშობლო მწერლობაზე, და შენ გამოსთქვი ერთი ჩემთვის უკვდავი აზრი: სომეხი და ქართველი ერი ემზადება გენიოსის მოსვლის შეხვედრას; მესსია უნდა მოვიდეს და ჩვენ [illegible] წინამორბედნი ვართ.

ძვირფასო ოვანეს!

შენ წახვედი ახლა შორს ჩვენგან, მაგრამ მე მჯერა, და ეს რწმენა არის ჩემი უკანასკნელი თავშესაფარი, რომ შენი დიდებული სული მგოსნისა და მამულიშვილისა, თავს დასტრიალებს არა მარტო შენს მშობელ ერს, არამედ ქართველ ერსაც, რომელსაც შენ მიეცი შენი ლამაზი ღიმილი, შენი დიდი სიყვარული.

და, როდესაც ამ ორ ძმას, სომეხს-ქართველს, დაიბადება ბრწყინვალე შვილი, რომლის ხმა გადალახავს საზღვრებს და დაიმონებს დროს, შენი სიხარული გაახარებს თვით სამოთხეს, სადაც მე დარწმუნებული ვარ, ადგილსა მწვანილოვანსა, შენ მოისვენე ფიზიკურ სენისაგან, მაგრამ შეინარჩუნე მოყვარესათვის დასისხლიანებული გული...

სალამი დიდებულო მეგობარო, სალამი და სიხარული.

სანდრო ყანჩელი.

ლები. მომქმედნი პირნი მხოლოდ ერის სხვადასხვა თვისებების განსახიერებაა. მაგალითად მთავარი ერის ნება, ქურუმი ერის რწმენა, ოთარი-ერის შეგნება და ხასიათი.

ერის სულის გადასაშლელად ავტორი აყენებს მას უდიდესი უბედურების წინაშე.

მთავარი. ისმინეთ ძალნო. ღვთის საქმეს ჩვენ ვერ გადავურჩით.

გოლვა მატულობს, მხარე იღუპება. მტერი მიდის.

ხმები. ვაი ჩვენს უბედურებას. და მართლაც უბედურება საშინელია,—ერი სდგას უფსკრულის წინაშე.

ყოველივე ისე მოეწყო, რომ ერი უნდა დაიღუპოს, განადგურდეს, მაგრამ ის არ იღუპება; ის გაიმარჯვებს: ამის თავდებია ერთის მხრით თამაზი, რომელმაც იცის ფასი როგორც სამირონისა, ისე ხაერონსი! მეორეს მხრით დიდებული ლილე, უბედურებისაგან ჭენში გახრილი ერი თამაზის დაღუპვას ცილეთი უხდება,—ასეთ ერის ვერას ვერ გასტეხს. მთავარი ჰხედავს, რომ მისი ერთადერთი შვილი მიდის ტყვეც გარდაუვალობით, რომ დაიღუპოს, მაგრამ არ აჩერებს მას, რატომ? იმიტომ რომ მას შეუდრეკელი აქვს შემდეგი რწმენა: მამულის სიყვარული სულ სხვა არის,-ის ყოველგვარ სიყვარულზე მაღლა სდგას.

მთავარი ხომ ერის ნებისყოფაა. მაშ რა ყოფილა ის ძალა, რომელიც გამარჯვებას ანიჭებს განადგურების წინაშე ქართულ ერს? ეს ძალა არის შინაგანი მთლიანობა.

ლონდას მთავარი დედააზრიც სწორედ ეს არის: სანამ ერს შინაგანი მთლიანობა აქვს, მას ვერავითარი საფრთხე ვერ გასტეხს და ყოველგვარი განსაცდელიდან გამარჯვებული გამოვა.

ამ მთავარ აზრს აშუქებს მეორე: უდიდესი ეროვნული განსაცდელის დროს დიდი მსხვერპლია საჭირო; ასეთი მსხვერპლის გაღება მხოლოდ დიდ სიყვარულს შეუძლია.

თამაზს ლონდა ურჩევნია ყოველივეს, მხოლოდ მამულს არა; და როდესაც დარწმუნდება, რომ მამულის გადასარჩენად ლონდას შეწირვა აუცილებელია, ის თვითონ, თავისი ხელით შესწირავს უსაყვარლეს არსებას, მაგრამ თვითონაც შეეწირება მამულს.

შეხედეთ, როგორ იტანჯება ის, როგორ ცდილობს ლონდას ხსნას, როგორ ეწინააღმდეგება ქურუმს და უზენაესის ნებას, მაგრამ როდესაც მას თვალ წინ დაუყენებენ მამულს, მან უკვე იცის, რა უნდა ჰქნას.

„მამული წიაღია შვილის
ერთგულების.
ეს არის სჯული მიწის.“

ასე მსჯელობს მარტო მთავარი კი არა, მთელი ერი და ეს აქ არის შინაგანი მთლიანობა ერისა, ეროვნული არსებობის აუცილებელი პირობა.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა მთავარის მსჯელობა ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. „გარდასულნიც და მოსულნიც არიან ერთნი,“ „მამად ვერავინ გახდება ქვეით, თუ არ ეწვია უკანასკნელად მამას და მამებს ზევით.“

ჩვენში კი დიდ მოღვაწეებად ისინი ითვლებიან, ვინც საჯაროდ აცხადებს: ჩვენი წარსული გვძულს, გვეზიზღება.

ლონდაში პირველის შეხედვით თითქოს არაფერი არ არის ეროვნული. მაგრამ როდესაც იმის დედა აზრს გარკვევ, რწმუნდები, რომ ის უაღრესად ეროვნულია. მასში ისეთი ფორმულაა ერისა, რაც ფარდას ხდის ჩვენი ერის ტრაგედიას.

ივ. გომართელი.

ოვანეს თუმანიანი

გაკვირვებულ ბავშვის თვალებით,
შენ ლოცვამ მადლი ჩამოგვმკურა;
ჩვენ მეგობრებთან ხან მოკრძალებით,
და ხან გულჩვილად ამხანაგურად.

როგორც მაღალი ბალღის სანთელი
აენთე ლორის სომხეთის მთაზე;
და სიყვარულის ყველგან მფენელი
[illegible] ძმობის მოციქულზე.

შენი ლექსები როგორც მტრედები
ბუდობდნენ მაღალ გლეხთა ოდებში;
და მოციქულის თავგამეტებით
შედი ცარდებით მხნედ მორიკებში.

შენთან დღეებმა ამაფრთოვანეს,
მოკვდი—და გრძნობას ნისლი მოედო
იტყვიან ბავშვნი: „წმინდა ოვანეს“
გავიმეორებთ: „წმინდა პოეტო“.

თეთრი სიცოცხლე შემოგეძარცვა
და ლილხასს სევდის თვალებით ვუმზერ:
როგორ დადგება ანუში ნაძვალ
შენს კეთილშობილ საფლავის გუმბზე.

3. აპრილი
1923 წელი

პაოლო იაშვილი.

სოფელში აღდგომას.

მინდვრების ყელი—შორი-გზაზე მეზვერი გველის:
დაწინწკლულ ქალებს ეხარებათ ზეცის-გორეულებს.
გვესახლა მთვარე. ღამე შრიალ ვარსკვლავთით.
წითელმღერის ფიქრი. მესტვირე ნოხზე ჭილებზე.

საყდრის გზაში ერბოიანი მაყრების ჯგუფი —
ხშირი ღიმილი, ხითხითი ახალ წყვილებით.
ყორეებთან გოგო მოწყენილი და დახოკილი.
ჯვრების ლანდი საფლავებზე მოხრილ მუხებში.

მართამ-ფუშფუში. საკმევლით ლოცვა უწინდელს.
ზარების ხმები სამრეკლზე აისხ აბლოს.
უბედურებმა სიყვარული ღმერთის დაუწინდეს
და მთლის ქრისტე მათი სული რომ ამაღლოს.

გორების მხრებზე დაჰფრინავენ სერაფიმები,
ისინი უხმოთ უცქერიან საფლავზე ხოხბებს.
მათი სახეზე წამწამები, როგორც სხივები
თითქოს მღერიან გარინდებით ფუნი თოხოს.

ლოლიაი გოგო ცირების გულს მოინადირებს
სიზმრებით გამთბარს მათ ფეხებთან ლეჟინები
შორს, სოფლის გადმა ალერე მთვრალი ირემებს ოფიცრები
წირვა თავდება და ხმაური მიდის ლხინებათ.

მაღალ მთებიდან მზე იმზირბის, როგორც ყმაწილი,
ცხვრები მხოლოდ თავს უშვერენ მთაქრულ სარებს.
ობოლ საფლავს მგავს მათი სიმე ნაკვალევები—
გუმბათი მრწყინავს და მაგზე ამტვრევენ ზარებს.

რაჟდენ გვეტაძე.

თავისუფალი ლექსი

ის რაც ჩვენ გუშინ გვაღელვებდა, ბევრ შემთხვევაში სრულებით არ გვაინტერესებს დღეს. თანამედროვე ადამიანი, როგორც რომანები ისე ცნობის წიგნებს,

ჩემთვის წარმოუდგენელია კაცი, რომელსაც თავის დროზე არ წაუკითხავს ტოლსტოი, ახლა გადაიკითხოს ყველა მისი ტომები.

გაზეთების მკითხველების თითქმის ოთხმოცდაათი პროცენტი მხოლოდ ახალ ამბებს კითხულობს. გრძელ წერილებს და ფელეტონებს არავინ წაიკითხავს თუ განსაკუთრებით ცნობილი პირი არ აწერს ხელს.

ეს მოვლენა უმთავრესად აიხსნება მით, რომ თანამედროვეობა სავსეა წიგნებით და დიდი სახელებით.

შესაძლოა ეს იყოს თანამედროვე პოეტისათვის უმთავრესი საბედისწერო მომენტი.

დღეს წერის ტექნიკა ისე განვითარებულია, რომ ლექსის დაწერა მეტად გაადვილებულია. ყველამ ადვილად გაიგო როგორ იწერება სონეტი, ტრიოლეტი, სექსტინი, რონდელი და სხვ. და ხშირად ძნელია გამოარჩიო ფალსიფიკაციის.

[illegible] მეზობლის სხვა, რომ ის გამოირჩეოდეს ამ წიგნთა სიბნელეში.

სონეტი, ტრიოლეტი და სხვა ცნობილ ფორმებში ჩაწყვეტილი ლექსი აბსოლიუტურად ახალის შთაბეჭდილებას უკვე ვერ იძლევა. ჩამოყალიბებული ფორმებით მწერალს ხშირად მიმბაძველი გადაუყვება გზას და უმღერს პოეტს თავისი — ვნებები იმეორებს გვერდით როგორც თანასწორი, რა თქმა უნდა ეს არის მისაწყენი თანასწორობა. მაგრამ მაინც შეურაცხყოფელი.

ჩემის აზრით ზემოთ თქმული შეიძლება იყოს მიზეზი, რომ წარმოიშვა ლექსის ფორმებისაგან განთავისუფლების იდეა, იდეა თავისუფალი ლექსის.

ვინ შემოიტანა პირველად თავისუფალი ლექსი ამის შესახებ არსებობს დავა ევროპის ლიტერატურაში. მაგრამ ერთი ცხადია — თავისუფალი ლექსებით სწერდნენ, ყველაზე უფრო ორიგინალური პოეტები: არტურ რემბო, ლაფორგი, უიტმანი და შემდეგ რენე გილ. რუსეთში თავისუფალი ლექსი მაიაკოვსკის სახელთან არის შეერთებული.

უახლოეს ქართულ პოეზიაში, სამწუხაროდ ყველაზე უფრო გამორჩეულია თავისუფალი ლექსები, განსაკუთრებით კი 1922 წელში. ამაზე მეტი ფურცლები მომიძღვნია მე [illegible] ლის წერილის სათაურში: „ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში“, რომელიც საკითხს ისე არ ფუძავს, როგორც ეს მე მესმის. „ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში“ ჩემთვის არის, რაც სცილდება იმ საზღვრებს, რომელიც შემოფარგლული იყო 1921 წელში. იმ საზღვრებს გადმოვიდნენ მხოლოდ თავისუფალი ლექსები: „პოეტის კარიერა“, „გრიგოლ რობაქიძეს“, „ცხენი ანგელოზით“, „პოეტის ყელი“.

მე არ მიმაჩნია საჭიროდ მათი ავტორების დასახელება, ვინაიდან ეს ლექსები, ყველა იმათთვის ვინც პოეზიის ნაწილს ატარებს ცნობილია. აგრეთვე არ შევუდგები იმ ლექსების გარჩევას, რადგან დასახელებული ლექსები თვით ლაპარაკობენ და უდავოდ მტკიცენ აზრს, რომ მათში იყო ყველაზე მეტი ორიგინალობა და ახალი გაქანება.

უბრალო თვალს თავისუფალი ლექსი ძლიერ ადვილ დასაწერად ეჩვენება, მაგრამ ის სძნელდება როგორც ყოველთვის.

ლექსისათვის გარეგანი ფორმა არის სამოსი. თავისუფალი ლექსი უარყოფს ამ ფორმას, ამ სამოსს. ის არის შიშველი.

რა თქმა უნდა არ არის ადვილი საქმე ფორმების დამორჩილება, უთუოდ რაცეს ნიშნავს სონეტების გვირგვინის დაწერა, მაგრამ ამ შემთხვევაში მიზნის მიღწევის იმედი შეიძლება თითქმის ყველას ჰქონდეს, ისე როგორც ძვირფასი სამოსის შეძენის. მაგრამ სულ სხვა არის თავისუფალი ლექსი, რამდენადაც პირველი შეხედვით ის საადვილოთ მოგვეჩვენება, იმდენად დაკვირვების შემდეგ აშკარა გახდება მისი სერიოზული სიძნელე. თავისუფალ ლექსში ყოველი სიტყვა მოსჩანს, ყოველი სახე სცოცხლობს საკუთარი სიცოცხლით, ამიტომ არის რომ იმ პოეტებს, რომელნიც ამ მანერით სწერენ მუდამ ემჩნევათ ტენდენცია შექმნან საკუთარი სიტყვათა ლექსიკონი და სინტაქსიც; დიდი ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე იმაჟინაციას.

ჩემის აზრით თავისუფალი ლექსი საბოლოოდ დარჩება ორიგინალური და ჭეშმარიტი პოეტების კუთვნილება, რადგან შიშველი გამოსვლას მხოლოდ ის გაბედავს და მას დაუშვებენ, ვინც გრძნობს სიამაყეს თავისი ტანის სილამაზისა და მომხიბლელობის.

გრიგოლ ცეცხლაძე.

ნაფილი

ა.

განაპირას, ქალაქის საზღვართან, მაღალ ქვითკირიან გალავანში, მომწყვდეული იყო სატუსაღოს უზარმაზარი შენობა, გალავანში რომელიც სწორ ოთხკუთხედით იყო აგებული.

ყოველ კუთხესთან თითო დარაჯი იყო მიჩენილი. მათი იწრო შუბლიანი, აზურთული კისერიანი და დაგორაკებული მკერდიანი სხეული განხორციელება იყო უსიტყვო, უაზრო, უგუმანო გაქვავებული მორჩილება და შესრულება. არავითარი ეჭვი ჭურღულადაც კი არ შეპარულა მათ თავში..., თუმცა ...17 წლის გრიგალის შორეული ღრიალი ქალაქის ქარხნების იწრო ფანჯრებიდან ცეცხლის ალად ცვეროდა არე-მარეს.

ღრუბელთა გრეხილი წინამორბედათ ჩნდებოდა მათ გარშემო...

მშვიდათ... აუშფოთებლად იდგნენ დარაჯნი.

თითქოს ქანდაკების უძრავ ჩრდილებად აზიდულიყვნენ გალავანის კუთხეთა თავანებზე დარაჯთა მეორე წყების გუშაგნი, რომლებიც სიცოცხლის ნიშნებს, მხოლოდ დადამბლებული თავის მოძრაობით ამჟღავნებდნენ. ეზოს მიდამო და გალავანს იქითა არე იყო მათი მიმქრალი, ხამხამს გადაჩვეული თვალების ჰორიზონტი.

პირველ წყებას კი საგუშაგო თვით ეზოში ჰქონდათ.

მშვიდათ... აუშფოთებლად იდგნენ დარაჯნი...

თვით საპატიმროს, თავის მუნჯ კედლებს შორის შეფარებული ჰყავდა: ამხედრებულნი ჯალათების უსამართლობის წინააღმდეგ,

იარაღით ხელში, თემის გზაზე მოთვალთვალენი, სასიკვდილო სალამის მისაცემად,

გაბედულნი, ღამის ბნელი რაინდნი, რომლებსაც თავის გამართლებას უძნელდებოდათ, ნაცადნი ბოროტების საასპარეზოზე, რომელთა ცხოვრება სისხლიანი წამოსასხამივით იყო წითელი,

მაძებარნი, ჭურდულად, სხვისი ქონებისა,

საკუთარ სიცოცხლესთან გამოსათხოვრად გამზადილნი და,

ბევრი სხვა.

ულმობელი და უსამართლო იყო წარსულის ციხე.

ყველა, უსამართლობას და თვითმპყრობელი რეჟიმის სისასტიკეს უჩიოდა თავის უბედურებას.

ასეთი კრებულით დასახლებული, მსოფლიოსგან გამიჯნული, საგანგებოდ აგებულ დარბაზში, ორმოს სიბნელესთან შეგუებული დუმილი სუფევდა—

მხოლოდ ხანდახან მეკარეს გასაღების მიერ ატეხილი ცივი კივილი, მტკივნეულ სხეულში სატევარივით შეიჭრებოდა- დამბლა დაცემული სივრცის მაჯის ცემა სახიფათო იყო..

მშვიდათ... აუშფოთებლად იდგნენ დარაჯნი.

ბ.

გაფითრებულ კედლებიან კუბოს მსგავს ოთახში, რამდენიმე საწოლი იდგა...

სატუსაღოს საავადმყოფო.

ერთ-ერთი საწოლთან რგოლად დახრილიყო ციხის ექიმი და დაჩონჩხილი თითებით ავადმყოფის მაჯას სინჯავდა.

რამდენიმე წყვილი ანთებიანი თვალი ხარბად მისჩერებოდა იმ საწოლს. ექიმის მოძრაობის ათვისებით მათ უნდოდათ გამოერკვიათ მქრება, თუ კიდევ იცდის ერთი წყვილი თვალი. სიკვდილის აჩრდილად გაწოლილიყო ფერწასულ კედელზე ექიმის სილუეტი.

ჰაერში სიცივე იყო.

კედელზე ჩრდილი გაიზარდა. ექიმი გაიმართა. სამსახურის თვალით გადახედა საწოლს და გაბრუნდა გასასვლელად. რამდენიმე წყვილი თვალი კარებს მიაჩერდა. ექიმი გავიდა და კარების უხმო სრიალმა მისი წასვლა ჩუმად აცნობა ავადმყოფ ოთახს.

თვალები გამოცოცხლდნენ. სიხარული, მოუთმენლობა, შიში ანთნენ მათ სიღრმეში. მოძრაობის უნარს მოკლებული სხეულნი, მომაკვდავისაკენ ეზიდებოდა ხარბი სურვილი. სამარიდან გარეკილ, გასურდულ ცხედრებს წააგავდნენ ისინი თავიანთ გრძელ ფორმო წამოსასხამში...

ფერდებ ჩაკეცილნი, ძვლებს ითვლიდენ, ხელის მსუბუქი შეხებით.

დამბლით მოკვეთილი ფეხების თრევას არ თაკილობდნენ, თუმცა ემძიმოდათ. დასიებული, გამშრალი ენა, განუწყვეტელ ხმაურსა ჰქმნიდა უაზრო გრძნილად...

გ

თითქოს მისნი დირიჟორის ხელის დაქნევაზე მწყობრად წამოიმართნენ თავიანთი საწოლიდან სუდარიანი სხეულნი. ერთმა, რომელსაც არ შეეძლო სხვების წაბაძვა, წაწვრილებული კისერით მოაბრუნა გამხმარი ქალა...

მამა ცდავის საწოლზე დუმილი იყო.

სუდარა დაწინაურდა. უხმოდ, უმოძრაოდ მიუახლოვდა იგი სასურველ საწოლს.

— სსს!!! ჩჩჩ უუუ!!! შშშ!—

მოისმოდა ყოველი კუთხიდან და სუდარების რკალი იწროვდებოდა.

ავადმყოფი სინათლეში მათი სახეები კიდევ უფრო გრძელდებოდენ და ნისლიან მთებათ იზნიქებოდენ ძირით-თავამდე.

რკალი შეჩერდა. მის უკანა საზთან ქვესკნელმა სიბნელისამ დაიუფლა მთელი ოთახი.

— სძინავს?

— მოკვდა?

— ილვიძებს?

— მოკვდა.

— მომკვდარა.

ყველამ გაიგო... რკალი კიდევ უფრო შევიწროვდა და საწოლს გარშემო ამოძრავდენ მსუნაგი ნაბიჯებით.

— პერანგი მე...

გამხმარი ხელი ძვლიანი თითებით დაეპატრონა არჩეულ დავლას.

— ნიფხავი კი მე...

სუდარის კალთამ სწრაფ მიმალა ხვედრი თავისი.

— შარვალი ჩემია...

სწრაფის გაქნევით გაქრა იგი, გახუნებული.

— წამოსასხამი —

არავის არ შეშურდა მისი დაკარგვა.

— ფული მე მინდა...

ერთად ერთი ვერცხლის პატრონი აღმოჩნდა მიცვალებული.

— პირსახოცი მომეცით...

ჩუმი ბოლმით მიისაკუთრა გასპირვალე ქსოვილი.

— ზეწარი ზეწარი...

თითქოს ზღაპარში უხილავ ძალამ გააშიშვლა მიცვალებული.

— მეც, მეც, მეც, მარგეთ რამეადგომა არ შემიძლია!!

მილეულის ხმით ვით დავიწყებული ამეტყველდა გამხმარი ქალი,

— ხი! ხი! ხი! ცცცც!!!

ენაზე კბილებ დადგმული იცინოდენ გამდიდრებულნი,

— ცხვირსახოცი ჩემთვის იყოს!

კვლავ შხამიანი სიცილი პასუხად.

— ჩემი ნაწილი, ჩემი ნაწილი, ჩემი ნაწილი!

— შენ არ გერგება ხვალ შენი ჯერია, შენსას გავინაწილებთ.

კვლავ უხმოდ აცმაცურდენ გამხმარი ფეხები ცხედრის გარშემო.

— ჩემი ნაწილი. მაინც მინდა.

ლუღლუღებდა გამხმარი ქალი. წაწვრილებულმა კისერმა იგი ოდნავ წამოსწია ზევით და ანთებიანი თვალებით შეებრძოლა უსამართლო ნაბიჯს.

წილხდომილნი კი ზურგებ შექცევით ნელის რხევით მისცურავდენ თავიანთი საწოლისაკენ.

მათ უკან უძრავად ეგდო გაშიშვლებული ცხედარი, რომლის სირცხვილი არავის აწითლებდა.

გამხმარი თავი მოწყდა და მაგარ სასთუმალზე დაჯახებით სიცარიელის ხმაური გაიღო.

სატუსაღოში ყველას ეძინა.

დარაჯთა სამი წყება ახლებით შეიცვალა და მშვიდათ... აუშფოთებლად იდგნენ დარაჯნი.

შოთა დადიანი.

ქართული კრიტიკისათვის.

შემთხვევითი არ იყო ვაჟა-ფშაველამ რომ აკაკის გაცივებული ტუჩები უკანასკნელად კიდევ ამეტყველა უდიდესი განწირვის და თავდადების სიტყვებით:

მშვიდობით ჩემო ქვეყანავ,
უფალი მიწვევს, გშორდები
თუ რამე ვალი მიმყვება
იქიდან გაგისწორდები.—

პოეტმა გაუგო პოეტს და ეს გაგება იყო გამოთქმული გენიალური სიმარტივით. ვინ ვის უნდა გაუსწოროს ვალი: აკაკიმ საქართველოს, თუ საქართველომ აკაკის, ამაზედ ლაპარაკი მეტია. ჯერ კიდევ დღესაც, როდესაც ასე ახლოს დგას ჩვენზედ ეს გოლიათი და ჩვენ ძალა აღარ შეგვწევს მეტის ზევით ახედვისა, რომ გავზომოთ სიდიადე ამ გიმალაის.

ნიკოლაძემ თითქოს დაგვიახლოვა უფრო აკაკი, მაგრამ ეს თეთრი გომერის მსგავსი აჩრდილი ოპერის ბალიდან ეხლაც ისე გვეუბნება იმავე ღიმილით: არც მიწისა ვარ, არც ცისა...

მე დავიწყე აკაკის ხსენებით, რადგან ეს იყო ერთი უბრწყინვალესი მიქელ გაბრიელი ქართული პოეზიის სამოთხისა, რომელიც ყოველთვის არ ხმარობდა ცეცხლის ხმალს, რადგან როცა უნდოდა მას შეეძლო ეთქვა მხოლოდ ასეთი ალერსით: ქუცი, ქუცი, ზე საწყალო მურია.

მაგრამ დადგება დრო, როდესაც თვით ამ სამოთხეში შემოტრიალდება ეს ცეცხლის ხმალი. ბოლოს და ბოლოს ოლიმპზედაც დაირღვევა ღვთაებრივი სიმშვიდე და ბევრი კერპი ქართული პოეზიისა, დაჰკარგავს ოქროს პიედესტალს, გამაგრებულს უგნური ტრადიციით, რომელსაც უკვე საუკუნის ისტორია აქვს თავისი ესტეტიური გემოვნების ატროფიისა.

ეს მოხდება მაშინ, როდესაც მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება ჩვენში ლიტერატურულ კრიტიკას.

შეიძლება ეს იყოს ეროვნული კულტურის დიდი ნაკლი—ეს ერთხელ კიდევ უკანასკნელად აღნიშნა ერთმა სიმვოლისტმა პოეტმა, რომ ქართულ მხატვრულ სიტყვას არ ჰქონდა არაოდეს ეკვივალენტი მხატვრული დაფასებისა, რომ არაოდეს არ ყოფილა სერიოზული ცდა მკვიდრი და გამბედავი ხაზების გადავლებისა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიისათვის.

ჯერ ქართულ პოეზიას არ ახსოვს ცხელი შანთი მხატვრული კრიტიკის, რომელიც ანადგურებს დილეტანტიზმის ჩალას და ასუფთავებს ატმოსფერას.

კიტა აბაშიძე უეჭველად იყო ესტეტიური ადამიანი და გემოვნების კაცი, მაგრამ მან მხოლოდ ეტიუდები დაგვიტოვა, რომელსაც ეხლა ყოველთვის არა აქვს გამართლება და დარწმუნების ხასიათი. მაინც ეს შრომა თავის დროზედ უსათუოდ მსხვილი მოვლენა იყო ქართული მწერლობისთვის და უკეთილშობილესი ძეგლი, რომელიც ავტორმა დაითგა საკუთარი ხელით.

დღეს ქართული პოეზია მიადგა ისეთ დებარკადერს, საიდანაც იწყება მრავალი გზები.

მე მტკიცედ მჯერა, რომ გზა, რომელსაც მომავალში გაჰყვება ქართული პოეზია, იქნება ისტორია ჩვეულებრივი დევიაციისა, რომელსაც ყოველთვის აკეთებდა ქართული მხატვრული ენერგია უცხო ლიტერატურათა ორბიტებზედ ხეტიალის დროს.

ამას ამტკიცებს მთელი ისტორია ქართული პოეზიისა დაწყებული. რუსთველით და გათავებული ბესიკით. მეცხრამეტე საუკუნეზედ ლაპარაკი არ მიხდება, რადგან ეს უფრო ხელსახებია ყველასათვის.

ჯერ კიდევ ალექსანდრე ჭავჭავაძეც სცდილობდა ინსტიქტით არ ეღალატნა ტრადიციისთვის და სთარგმნიდა ლექსებს „ფრანცუცულით“, ის ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელმაც სხვათა შორის დასწერა ლექსი: „მართას ავათმყოფობა და ექიმის ნახვა“, და რომელიც ვერ ასცდება მათრახს უპატრონოდ დარჩენილ ქართული სიტყვის და ლექსის ნამუსის ახდისთვის.

გურამიშვილს და ბესიკს ჰფარავდა მაშინ რუსეთის მინდვრების თოვლი. მაგრამ ეს სხვათა შორის.

მე მინდოდა ამ საგანზედ მეთქვა ჯერ-ჯერობით.

ლევან ასათიანი.

ბიბლიოგრაფია.

ს. აბაშელი: ანთებული ხევანი
წიგნი მეორე ლექსების.

უკვე დადგენილი ფაქტია ქართულ ლიტერატურის ისტორიისთვის რომ პირველი ლიტერატურული შკოლა პოეტების, ევროპის ლიტერატურულ შკოლათა ანალოგიით არის „ცისფერი ყანწები“. ამ შკოლას აქვს შვიდი წლის ისტორია, და რა შედეგი ჰქონდა ქართულ პოეზიისთვის მის გამოსვლას, აქ საჭირ არ არის დასახელება.

ამ შკოლის გარდა ქართული ლიტერატურა ერთი უფორმო გიბრიდია, სადაც ათასი მოდგმის და სტილის მწერლები სცდიან თავიანთ თავს, მათ შორის განსხვავება მარტო გრაფომანიაა ზოგისთვის.

„ყანწების“ შემდეგ ლიტერატურული შკოლის დისციპლინის შეჰქნის ცდა ეკუთნის „ხომალდის“ ჯგუფს. თითქმის ყოველი წევრი ამ ჯგუფის ადრე გამოსულია მწერლობაში, მაგრამ შკოლის ორგანიზაცია მხოლოდ უკანასკნელად დაეტყო „ხომალდ“ს.

წინად ის გამოდიოდა უფრო დიდი ტანის ,,ცისარტყელა‘‘ სახელით, მაგრამ ეს ჟურნალი მაშინ უფრო მეტ ფერს აჩენდა ვინემ 7 ფერია. ამიტო არ გვინდა ამას დაუბრუნდეთ.

„ხომალდში“ უფრო ჩამოიქნა ეს ლიტერატურული მიმართულება, მაგრამ რასაკვირველია ვერ აცდებოდა იმ საფრთხეს, რომელიც იფარებოდა იმ ფაქტში, რო, მათ ორგანიზაციულად დაწყობა დაიწყო თითქის მწერლობის რამდენიმე პერიოდის გათავების შემდეგ ამიტომ არის რომ ეს შკოლა გაჩერებულია. ახალგაზრდები მას სრულებით არ ჰყავს. არც მათ გავლენას განიცდის არავინ ს. აბაშელი ერთი ხელმძღვანელთაგანია ამ ჯგუფის, თუ შეიძლება ითქვას „კაპიტანი“ ამ „ხომალდის“ და ამიტომ ის ყველაზე უფრო ამხელს თავის შემოქმედებაში ამ შკოლის ხასიათს.

თავდაპირველად ეს შკოლა გამოვიდა ქართულ პოეზიაში ეგრეთ წოდებულ ,,მიმართულებით რეალიზმით‘‘. მათ შემოქმედებაში უმთავრესი მომენტი იყო სოციალოგიური საფუძველი. აქვე უნდა ითქვას. რომ ამ შკოლამ ვერ მიიღო ლოგიკური დასრულება, შემდეგ ასეთი მიმართულება რუსეთშიც და საქართველოშიც გადავიდენ ,,პროლეტარულ პოეზიის‘‘ ფრონტზე. სხვა საკითხია როგორი მომავალი აქვს ამ შკოლას მაგრამ დღეს ფაქტია, რომ ,,პროლეტარული პოეზია‘‘ იდეოლოგიურად სცდილობს თავისი დამტკიცებას. ,,ხომალდის‘‘ ჯგუფი არ დგას ამ საფუძველზე. მეორე მხრივ საქართველოში ,,ცისფერ ყანწები‘‘სგან შეიქნა ნამდვილი შკოლა პოეზიის, რომელიც აცხადებს პოეზიის თვითმიზნობას და დაშორებულია ყოველივე ზედმეტ ბალასტიდან, რომელიც ამძიმებდა და დღესაც ამძიმებს პოეზიას საქართველოში. ,,ხომალდის‘‘ს ჯგუფი სწორედ შუაში მოემწყდა ის არ იზიარებს პროლეტარულ პოეზიის იდეოლოგიას მაგრამ არც მემარცხენე პოეზიის ფლანგას ეყრდნობა. მას თითქმის უნდა მონახოს შუაში თავის ხაზი. ჩვენ წინდაწინ შეხვიძლია ვთქვათ, რომ ეს შუა ხაზი, არასდროს არ გამართლდეს: ,,ხომალდმა‘‘ უთუოდ უნდა აილოს ერთერთი ორიენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მა წყალი დაუშრება და დაჯდება მელზე. ამნაირი ყოფნა უთუოდ ორმაგია, და ეს ორმაგობა ეტყობა ს. აბაშელს.

ს. აბაშელი ათი წლის წინ გამოვიდა, როგორც ქართულ ლექსის ნოვატორი.

ს. აბაშელი ხომალდის ჯგუფში ყველაზე უფრო არ უფრთხის ახალ ფორმებს, ეს მას ახასიათებდა წინათაც, მაგრამ მისი მისვლა ლექსთან არ არის მაინც უკანასკნელი დაწმენდა და გადავარდნა, ის კიდევ ხედავს გზებს და რომელსაც სხვა პოეტი თვალს აამორებდა შეგნებულად ის პროზელიტივით ეწაფება პირველი გრძნობით.

ეს ოპტიმიზმი შეიძლება საჭიროც იყოს სხვაგან, ასეთია მაგ., ალ. ბლოკი, მაგრამ ს. აბაშელში არ არის ლირიკით გამართლება ყოველ დღიურობისა.

ს. აბაშელი უფრო პარნასელია თავის ტემპერამენტით მაგრამ პარნასელისთვის მას გარდა უსრულესს ფორმისა, აკლია ტემა.. ს. აბაშელის ტემა ერთფეროვანია ძალიან, ხანდისხან ვერ არჩევ რომელ ლექსს კითხულობ. თავი რომ დავანებოთ ისეთ პარნასელებს, როგორც ხოზე მარია, ერედია, ტეოფილ გოტიე, ან ლეკონტ დელილ, რომელთა ტემები სამუდამოთ აწარმოვებდენ თვალებს არა მარტო ეგზოტიკით,

ასე არის შთაბეჭდილება მეორე წ გნის, მაგრამ ს. აბაშელი ეხლა ა შემოქმედების დამწიფებაში, ჩვენ ვიც რომ მისი მესამე წიგნი უკვე დაბეჭდ ლექსებით იძლევა ამის დამტკიცებას

ამიტომ ჩვენ მოუცდით ამ წიგნ რომ დავსწეროთ პოეტის პორტრეტი.

მანამდის კი ჩვენ, თუ ვსწერთ აბაშელის ამ წიგნზე მხოლოდ იმიტ რომ ის თავის მეგობრებთან ეერთ ,,ხომალდ‘‘ში მეტად პა ხის მგებელია ძველ მწერლობისგან. ინტერესოა მისი შემოქმედების ეტაპებ ანიშვნაც, მით უმეტეს, რომ მოსხ მაღალი ახალი სახით. ს. აბაშელი შემთხვევაში ძალიან დამახასიათებე პიროვნებაა ქართულ პოეზიაში, მ პიროვნებით თავის თავს სდის ტრად ციიული ქართული პოეზია.

გადატეხავს ის საბოლაოთ ამ რკა გახსნის ახალ შემოქმედებას? ეს არ საკითხი, და ამაზე დავსწერთ ჩვე თორემ ის რომ არის ლირისი ამ სხ ლის რომელიც აქვს პოეზიაში ამას საჭირია დაფიქრება.

ა. ა.

ქრონიკა

იოვანეს თუმანიანის უკანასკნელი დღეები.

მოსკოვიდან დაბრუნდა დოქტ. საგიანი, რომელიც ახლდა პოეტ ოვანესს თუმანიანს მოსკოვში.

ტფილისის გაზეთებში დაბეჭდილია საუბარი საგიანთან.

ოვანესს თუმანიანი სრულებით არ იყო მომზადებული სიკვდილისთვის, ექიმები უკანასკნელ წამამდე უმალავდნენ ავადმყოფს, რომ მას მოელოდა სიკვდილი. პოეტი დარწმუნებული იყო, რომ თუ მოსკოვში არა, ბერლინში მაინც მას გაუკეთებდნენ აპერაციას და ის მორჩებოდა.

გზაში თუმანიანი სულ იმაზე სჩიოდა, რომ ასე ცოტა უწერია ამდენი ხნის განმავლობაში, მას ეჯავრებოდა თითქმის რაც წინად დაუწერია და ამბობდა, რომ მის შემოქმედებაში დაიწყებოდა სრულიად ახალი ეპოქა.

განსვენებული ბევრს ლაპარაკობდა ქართველ და სომეხ ხალხთა დამოკიდებულებაზე და მისი ჩვეული სიყვარულ სოლიდარობის და ხალხთა სიყვარულ არ ტოვებდა ბოლომდე.

განსვენებულის ბევრ დაუთავებელ ნაწერებს შორის დარჩა პოემა „ანბუ ქუქუ“ (გუგული უსახლო)...

ოვანესს თუმანიანის სიკვდილი სომხეთის ხალხში სტოვებს დიდ „შთაბეჭდილებას ისე, როგორც აკაკის სიკვდილი საქართველოში.

,,ემილ ვერჰარნი‘‘.

პაოლო იაშვილი ამზადებს წიგნ სახელმწიფო გამომცემლობაში გამოსაცემად ,,ემილ ვერჰარნი‘‘, თარგმნილ არის უკვე ასამდე ლექსი.

წიგნს დართული ექნება წინასიტყვაობა, მოხსენება, რომელიც პაოლო იაშვილმა წაიკითხა ხელოვანთა სახა ლეში.

სარედაქციო კოლეგია.

სახალხო ბანკის
სამმართველო
ქართული ბონების გაუქმების გამო
აცხადებს, რომ ა. წ. 10 აპრილიდან
ქართული ბონების გაუქმების გამო
ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო
ბანკის
ვალდებულებანი
გადაიცვლებიან შემდეგში ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე.
სახალხო ბანკის სამმართველო.

სახელმწიფო მომგებიანი ოქროს სესხის
1 მაისს 1923 წ.
1-ლი ტირაჟი
1 მაისს 1923 წ.
პირველი ტირაჟი იძლევა განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს სესხის ობლიგაციების მქონე პირთათვის.

ამ ტირაჟში მთელი მოგებათ ჯამი 800.000 მანეთი ოქროთი და მთელი მოგეათა რაოდენობა 13169, გათამაშდება სესხის არა ყველა 10 სერიათა შორის, არამედ მხოლოდ—იმ სერიათა შორის, რომელთაც რეალიზაცია ექნებათ 1 მაისისთვის. ეს აძლიერებს მოგების შანსს 2-3 ჯერ. 1 მაისს მომგებ ობლიგაციას ძალა არ ეკარგება, მას შეუძლია მოიგოს კიდევ შემდეგ ტირაჟებშიც—1 სექტემბერს 1923 წ., 1 იანვარს 1924 წ., 1 ივლისს 1924 წ. და შემდეგ ასე. (ორჯერ წელიწადში).

თითეულ გათამაშებაში შევა: თითო მოგება 100,000 მან. ოქროთი, თითო მოგება 50,000 მან. ოქროთი, ორ-ორი მოგება 25,000 მან. ოქრ., 5—10,000 მან. ოქ., 10—5,000 ოქრ., 50 1,000 მან, ოქრ., 100—5000 მან. ოქრ., 1000—100 მან. ოქრ., 2,000—50 მან ოქრ., 10,000—20 მან., ოქრ., 1927 წლამდე, 1928 წლ. 1932 წლამდე ხუთას-ხუთასი (500) მოგება 20 მანეთი ოქროთი.

ობლიგაციები გამოშვებულია 5 და 25 მან. ოქროთი. 25 მანეთიან ობლიგაციას აქვს ხუთი ნომერი, თითეულ ამ ხუთ ნომერთაგანს შეუძლია მოიგოს ცალკე:

ობლიგაციები მიიღება სახელმწიფო იჯარების და მიწოდების გირაოთ და აგრეთვე სააქციოზე და საბაჟო გადასახადების უზრუნველსაყოფად ჯამის განუსაზღვრელად: მომგებიან სესხის ობლიგაციებზე საკრედიტო დაწესებულებანი იძლევა სესხს, გირაო—სესხის ოპერაციები განთავისუფლებულია სადერბო გადასახადებიდან.

ოქროს სესხი
აძლევს საშვალებას ვველას უზრუნველჰყოს შეძენილი ქონება ფასის დაკარგვისგან.
აძლევს საშვალებას ყველას მიიღოს შეძენილი სიმდიდრის 6 პროცენტი წლიურად ოქროს კურსით.
აძლევს საშვალებას ყველას დაიბრუნოს თავისი შეძენილი ქონება ოქროს კურსით ობლიგაციების გაყიდვის დღეს როდესაც უნდა.

სესხის ობლიგაციები იყიდება ამიერ-კავკასიის ყველა საკრედიტო დაწესებულებებში, აგრეთვე—აზრების ფინანსიურ განყოფილებებში, ხაზინებში, ფოსტა-ტელეგრაფის კონტორებში, საკოოპერაციო ორგანიზაციებში და სხვა ადგილებში.

ტფილისი, პოლიტ-განათლების მთავარი სამართველოს № 193—1000 ცალი.
სტამბა სამხედრო კომისარიატისა.